საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2584 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №250 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №250 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 500 400 (ხუთასი ათას ოთხასი) ლარისა, კერძოდ:

ა) თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 370 400 (სამას სამოცდაათი ათას ოთხასი) ლარისა;

გ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**